



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**



KA020175901023922

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 1250/ს

03 / ნოემბერი / 2022 წ.

**ი/მ „გელა ჭიჭინაძე“-ზე (პ/ნ 01026009293) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის
მოპოვების N00096 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 15 მაისის N377 ბრძანების საფუძველზე, ი/მ „გელა ჭიჭინაძე“-ზე (პ/ნ 01026009293, ლიცენზიის გაცემის დროს იურიდიული პირის ს/კ 137980353) გაცემულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N00096 ლიცენზია (20 წლის ვადით), ონის რაიონში, სოფელი ირის მიდამოებში, ბარიტის ნარჩენების მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 13 ოქტომბრის N2047 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დასტურდება ი/მ „გელა ჭიჭინაძის“ გარდაცვალების ფაქტი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების პროცედურების გატარებამდე, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ი/მ „გელა ჭიჭინაძის“ მემკვიდრის დადგენის მიზნით.

ადმინისტრაციული წარმოების მასალების თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრის 2021 წლის 22 იანვრის ამონაწერის საფუძველზე დგინდება, რომ ინდივიდუალური მენარმის „გელა ჭიჭინაძის“ სტატუსი გაუქმებულია გარდაცვალების გამო. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2021 წლის 27 აპრილის N16/4823 წერილით წარმოდგენილი დანართის საფუძველზე, სააგენტოს ეცნობა, რომ გელა ჭიჭინაძის (პ/ნ 01026009293) გარდაცვალების თარიღია 2008 წლის 27 მაისი და წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მისი მემკვიდრის თაობაზე (მარიამ ჭიჭინაძე).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 13 ოქტომბრის N22/7167 წერილით, გელა ჭიჭინაძის მემკვიდრეს-მარიამ ჭიჭინაძეს, განემარტა, რომ მას აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, მემკვიდრეობის გზით მიღების უფლება და ამასთან, მას განესაზღვრა 10 სამუშაო დღე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში გამოცხადებისა და ლიცენზიასთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

გემოაღნიშნული წერილი, გაგზავნილ იქნა რეგისტრირებულ მისამართზე და ჩაბარებულ იქნა 2021 წლის 18 ოქტომბერს, თუმცა წერილის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მარიამ ჭიჭინაძე არ გამოცხადებულა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში, უფრო მეტიც, დღეის მდგომარეობითაც, მას არ მოუძარტავს სააგენტოსთვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით მიღების მოთხოვნით.

ყოველივე გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი, ი/მ „გელა ჭიჭინაძე“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით გადაცემის მიზნით, თუმცა მემკვიდრის მხრიდან ინტერესი არ იქნა გამოვლენილი.


„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7⁵ მუხლის 1² პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 13 ოქტომბრის N2047 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 15 მაისის N377 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ი/მ “გელა ჭიჭინაძე”-ზე (პ/ნ 01026009293, ლიცენზიის გაცემის დროს იურიდიული პირის ს/კ 137980353), ონის რაიონში, სოფელი ირის მიდამოებში, ბარიტის ნარჩენების მოპოვების მიზნით გაცემული N00096 ლიცენზია;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი